დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N57

2013 წლის 16 აგვისტო

ქ. დუშეთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ გენერალური დირექტორისათვის სახალხო დღესასწაულ „შატილობის“ მოსამზადებელი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს დაიგეგმა სახალხო დღესასწაულის „შატილობის“ ჩატარება, რომლის მოსამზადებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 17 000 ლარს.

გამომდინარე იქიდან, რომ ტენდერის საშუალებით ღონისძიების ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან და 2013 წლის 31 აგვისტომდე ვერ ესწრება, შექმნილ ვითარებას „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ გენერალური დირექტორი აფასებს გადაუდებელ აუცილებლობად და ითხოვს თანხმობას სახალხო დღესასწაულ „შატილობის“ მოსამზადებელი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ გენერალურ დირექტორს, სახალხო დღესასწაულ „შატილობის“ მოსამზადებელი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენასა და შესყიდვების გეგმაში კლასიფიკატორის კოდების შეცვლაზე.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — ივერი ჯიქურაული